საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ა. ყაზბეგის გამზ. 12, 0160, თბილისი, საქართველო

The Roads Department of the Ministery of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI)
12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160 Georgia

სს „ინსტიტუტი იგჰ“, საქართველოს ფილიალი
ჭავჭავაძის გამზ. # 33-ე, 0179 თბილისი, საქართველო

JSC Institute IGH, Georgia branch
Chavchavadze Ave. # 33-e 0179 Tbilisi, Georgia

ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევა

საბოლოო საპროექტო ანგარიში 1

ლოტი I

ლენტეხი-სამხრეთ პორტალი

ტომი VII

<u>არქიოლოგიისა და არქიტექტურის ძეგლების კვლევის ანგარიში</u>

თბილისი 2019

ტექნიკური ინფორმაცია:

საძიებო სამუშაოები ჩატარდა სპეციალიზირებული სამეცნიერო ჯგუფის მიერ.

შემადგენლობა:

მ. ძნელაძე – ხელმძღვანელი

ვ. სადრაძე – არქეოლოგი

ლ.ახალაია - არქეოლოგი -კონსულტანტი

ბ. კუპრეიშვილი –ისტორიკოსი , ძეგლთა

დაცვის სპეციალისტი

ანგარიშში კულტურული მემკვიდროების ნაშთები და რეკომენდაციები წარმოდგენილია კონტრაქტების შესაბამისად.

კვლევა ჩატარდა კონტრაქტებით გათვალისწინებულ პუნქტებში

რეგიონის ისტორიული მიმოხილვა:

საქართველოს მთიანეთი, განსაკუთრებით სვანეთის რეგიონი, შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი წერილობითი წყაროების და კვლევა-ძიების უკმარისობის გამო.

წიაღისეული ძეგლების შესახებ ცნობებს გვაწვდის ლენინგრადელი არქეოლოგი ე.დეგენ-კოვალევსკის მიერ 30-იან წლებში ჩატარებული სამუშაო ჭუბერის ხეობაში. 60-იან წლებამდე რაიმე კვლევა-ძიებითი სამუშაოები აქ არ ჩატარებულა [შ.ჩართოლანი, სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, 1977, გვ.3-4].

მიწისზედა მატერიალური კულტურის ძეგლებმა XIX საუკუნიდან მიიქცია მკვლევარების ყურადღება, თუმცა სამეცნიერო მიმოქცევაში ხშირად გვხვდება ამ რეგიონიდან მომდინარე არტეფაქტების შესახებ ინფორმაცია [იხ.პერიოდული გამოცემები „კვალი“, „დროება“, „ივერია“, „Кавказ“ და სხვ.].

1853 წელს სვანეთში იმოგზაურა კოლექციონერ-ნუმიზმატმა ი.ბარტოლომეიმ. 1860 წელს კი დ.ბაქრაძემ, ფილიმონოვმა და სხვ.

1897 წლის ივნისის თვეში მესტიაში გზის გაყვანის დროს აღმოჩენილა რკინისა და ბრინჯაოს ნივთები [„წერილი სვანეთიდან“, „ივერია“, 1897წ.]

1885 წელს სვანეთში იმოგზაურა პ.უვაროვამ; 1910 წელს ე.თაყაიშვილი მეთაურობს ექსპედიციას ლეჩხუმ-სვანეთში. შედეგები გამოქვეყნდა 1910 წელს წიგნში „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910წ“ პარიზი, 1937;

(თანამედროვე ლენტეხის მუნიციპალიტეტი, ქვემო სვანეთის მიკრო-რეგიონი).

1930 წელს ჟურნალ „დროშაში“ გამოქვეყნდა ე.გაბლიანის წერილი „არქეოლოგიური გათხრები სვანეთში“ (1930, №18; №19) გვაწვდის ინფორმაციას იფარში, წვირმიში, ჭვიბერში აღმოჩენების შესახებ. საინტერესო ცნობებს გვაწვდის სვანეთის ძეგლების შესახებ ა.იესენი ნაშრომში.

განსაკუთრებულ ყურადრებას ამახვილებს მეტალურგიასთან დაკავშირებულ ძეგლებზე (ჭუბერი, იფარი) [შ.ჩართოლანი, სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, 1977, გვ.9], გ.გობეჯიშვილი, დ.ქორიძე და სხვ. განსაკუთრებულია გ.გობეჯიშვილის როლი ცაგერისა და მესტიის რაიონების არქეოლოგიურ შესწავლაში. შემდგომში გ.გობეჯიშვილი და შ.ჩართოლანი იკვლევენ მეტალურგიულ ბორცვს სოფ.კალაში; ძეგლებს ჭუბერის ხეობაში, შუასაუკუნეების წყალსადენს მესტიაში. შხიბარის რკინის სადნობს. მ სამუშაოებში გ.გრიგოლიაც ერთვება და იკვლევს სოფ.ენწერში მეზოლითურ ძეგლს. ლაჭარას, ჯიხას ნამოსახლარს. ქვის ხანის ნაბინავარს სოფ.ლენჯერთან. ამ პერიოდში შ.ჩართოლანის ხელმძღვანელობით ითხრება ჭუბერის-ლარილარის სამაროვანი (ანტიკური ხანა). ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებს ლასილის ხეობაში (ადგ.წიფნი და ლაროლარი), გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებს მდ.ნაკის ხეობაში, რკინის მეტალურგიული წარმოების ნაშთებს ჭუბერის ხეობაში (დიზისი და ქვედა იფარი), ადრე და შუა ფეოდალური ხანის

საფორტიფიკაციო ნაგებობების ნანგრევებს ჭუბერში, ხაიშში, იდლიანში, კავაკვასა და ხუბერში. ეკლესიებში დაუნჯებული არტეფაქტები აღმოჩენილია ზემოსვანეთში, მდ.ენგურის ხეობაში, სოფ.ხუდონი, ჭუბერი, ლახამულა, ნაკრაში, ლატალი, ლენჯერი, მესტია, მულახი, იფარი, კალა, უშგული და სხვ.

ქვემო სვანეთში (ლენტეხის მუნიციპალიტეტი) ცნობილია ჟახუნდრის წმ.გიორგის ეკლესია, დადიანის ციხე-დარბაზი ლენტეხში, ლექსურის კოშკები, ტვიბის მთავარანგელოზის ეკლესია, ფაყის წმ.მარიამის სახ.ეკლესია, სკალდის მთავარანგელოზთა ეკლესია და სხვ. [ქ.ს.ე. ტ.11, გვ.402, 446, 457].

ლენტეხი, დაბა (1969 წ-დან) ცენტრი, სოფლები: ბაბალი, გულიდა, კახურა, ლასკადურა, მელურა, ყარაში. დებარეობს სვანეთის ქედის სამხრეთ კალთის ძირში, ნდინარე ცხენისწყლის ნაპირზე, ზ.დ. 760 მ. თბილისიდან 323 კმ. ქუთაისიდან 102 კმ.

მესტია (მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, თბილისიდან 456კმ. მდებარეობს. იგი ქართული ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი უმნიშვნელოვანესი კუთხეა. დიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. როგორც ზემოთ აღინიშნა სხვა კუთხეებთან შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა ბოლო წლებში ხუდონჰესის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით სვანეთში მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა. ეს ძეგლებია: სოფ. ლუხვი-ანტიკური ხანის ნამოსახლარი (კოორდინატები: X-027052; Y-4761689); ხაიშის განძი (კოორდინატები: X-027049; Y-4758157); ხაიშის ნამოსახლარი (კოორდინატები: X-027058; Y-4758288); გაღმახაიში, მაღარო (კოორდინატები: X-026904; Y-4758484), წირმინდი, ნაკოშკარიახ.წ. XI-XIII სს. (კოორდინატები: X-027712; Y-4757310); სოფ.ლახამი, რკინის საწარმო (კოორდინატები: X-027033; Y-4764915); სოფ.ლებურცხილა (კოორდინატები: X-026301; Y-4756902) და სხვ.

საპროექტო ტერიტორიის კვლევა.

ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებელი გზის რეკონსტრუქციის პროექტი იწყება ლენტეხის უბან ლენგვერიდან. იგი მდ.ლასკადულას ვიწრო ხეობით მიუყვება მდინარის მარცხენა მხარეს მიმავალ უსწორმასწორო ქვიან გზას.

საწყისი წერტილის კოორდინატებია: X-031401; Y-4739820. მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ჩრდილო-დასავლეთით. ხეობაში სიმაღლის მატებასთან ერთად რთულდება გზის მონაკვეთები. ხშირ მონაკვეთებზე გზა ჩამოშლილია და გავლა სახიფათოა. არის რთული ქარაფოვანი მონაკვეთებიც. გზა მთის ძირამდე, სადაც მესტიის მიმართულებით გვირაბი უნდა გავიდეს (კოორდინატები: X3073413 – Y47495613); გვირაბი მესტიის ტერიტორიაზე ლაჰილჭალის ხეობაში გადადის (კოორდინატები: X-3039315; Y-47573708), საიდანაც მიემართება ჩრდილოეთით. მიუხედავათ იმისა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლად არის არქიტექტურის ძეგლები, ამ მონაკვეთზე არ ფიქსირდება. გზა ლაჰილჭალის ხეობას მარცხენა ნაპირით გაუყვება ჩრდილოეთის მიმართულებით, გადის ნასოფლარს, რომელსაც ადგილობრივები ხუმფას ეძახიან. სწორედ ამ ნასოფლარზე, დღეს არსებულ გზის პირას, დგას წმ.გიორგის სახელზე აგებული მცირე ზომის დარბაზული ეკლესია. იგი ძველი ეკლესიის შემორჩენილი კედლების გამოყენებით, ფლეთილი ქვითაა ნაშენი (თითქმის კარნიზის დონეზე) და გადახურულია ორფერდა სახურავით. **ეკლესიის კოორდინატებია: X-304389; Y-4758875. როგორც აღვნიშნეთ, გზა ეკლესიის სიახლოვეს გადის, ამდენად აუცილებელია მისი დაცილება ეკლესიიდან 30-მეტრით, რაც თავიდან აიცილებს ძეგლზე უარყოფით ზემოქმედებას.**

ნასოფლარიდან გზა კვლავ მიემართება ჩრდილოეთით, ლაჰილჭალის ხეობის მარცხენა სანაპიროთი, შემდეგ იგი გადაკვეთს მდინარეს და მარჯვენა მხარეს გაუყვება. საერთოდ გზა გადის არაერთგვაროვან მონაკვეთებზე. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ ტრასა კვეთს ნასოფლარ ლაჰილის ტერიტორიას, სადაც მინდვრიან შემაღლებულ კლდოვან ადგილზე დგას შირიმის ქვის კვადრებით ნაგები XIIს. შვერილ აბსიდიანი ელია წინასწარმეტყველის სახელზე აგებული დარბაზული ეკლესია, რომელსაც დღეისათვის კამარა აქვს მორღვეული (ეკლესიის კოორდინატები: X-306260; Y-4652887); გზა ეკლესიას დასავლეთის მხრიდან (კოორდინატებია: X-304969; Y-4763815) გაუვლის; გზასა და ეკლესიას შორის სიმაღლის დონეები განსხვავებულია. ადგილზე **მიწის სამუშაოების წარმოების დროს, უნდა შეიზღუდოს მძიმე ტექნიკის გამოყენება და აიკრძალოს აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება,** რათა თავიდან იქნეს აცილებული ძეგლზე უარყოფითი ზემოქმედება.

ნასოფლარ ლაჰილიდან გზა, თანამედროვე სოფელ ლაჰილში გაივლის, გადაკვეთს ხევს, სოფელ კვანჭიანს და ლატალის თემ ლეშგუანში ადის (კოორდინატები: X-3049314; Y-4765304); აქედან, ასფალტირებული, მოწესრიგებული გზა მესტიამდე მიდის (კოორდინატებია: X-314685; Y-4768215), სადაც მთავრდება ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებელი გზის რეკონსტრუქცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებელი გზის სარეკონსტრუქციო ტერიტორიაზე ჩვენს მიერ ლენტეხის მუნიციპალიტეტში

მდ.ლასკადულას ხეობიდან გვირაბის გასაყვან მთამდე (რომელსაც ლაჰილი უღელტეხილი ეძახიან) არქეოლოგიური არტეფაქტები და არქიტექტურის ძეგლები არ ფიქსირდება. რაც შეეხება გვირაბის მეორე მონაკვეთის ტერიტორიას, მიუხედავად იმისა, რომ ლენტეხის, ასევე მესტიის მუნიციპალიტეტში მრავლადაა კულტურული მემკვიდრების ძეგლები, ვიზუალური და კამერალური სამუშაოებისას, გარდა ორი ნასოფლარისა (ხუმფა და ლაჰილი) არ დადასტურებულა. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების დროს, მოსალოდნელია მათზე უარყოფითი ზემოქმედება - ძეგლების დაზიანება. საჭიროდ ვთვლით ამ ორ ობიექტზე, მიწის სამუშაოების პროცესში, არქეოლოგიური ზედამხედველობის ჩატარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. აღნიშნულ ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების ჩატარება დასაშვებად მიგვაჩნია.

*2. ნასოფლარ ხუმფას ტერიტორიაზე (კოორდინატები: **X-304389; Y-4758875**); აუცილებელია გზის დაცილება ეკლესიიდან 30-მეტრით, ხოლო ლაჰილის ტერიტორიაზე (კოორდინატები: **X-306260; Y-4652887**) შეიზღუდოს მძიმე ტექნიკის გამოყენება და აიკრძალოს აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება. ნასოფლარებზე მიწის სამუშაოების პროცესში, აუცილებელია არქეოლოგიური ზედამხედველობა.*

3. მიწის სამუშაოების პროცესში არქეოლოგიური ძეგლის დადასტურების შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს ძეგლის გადაუდებელი შესწავლა.

სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი პროფ. მ.ძნელაძე -

პრეისტორიული არქეოლოგიის სპეციალისტი ი.მ.დ. ვ.სადრაძე -

დაცვის სპეციალისტი ისტორიკოსი ბ.კუპრეიშვილი| -

18/11/2017 14:01

18/11/2017 16:34

19/11/2017 10:02





მესტიელ!
WELCOME TO MESTIA!







კონტრაქტი 5-16
პროექტის მომზადება ლენტეხისა და მესტიის დამაკავშირებელი გზის რეკონსტრუქციისთვის



გზები:

სარეაბილიტაციო გზები

ვარიანტი 1	- 29.4 კმ ასფალტის გზა
ვარიანტი 2	- 11.3 კმ ასფალტის გზა

ახალი გზები

ვარიანტი 1	- 24.7 კმ ასფალტის გზა
ვარიანტი 2	- 30.0 კმ ასფალტის გზა

სამგზავრო დრო:

ვარიანტი 1	- 1:21 სთ
ვარიანტი 2	- 1:01 სთ
	- სიჩქარე 30-40 კმ/სთ

საინვესტიციო ღირებულება:

ვარიანტი 1	- 320,0 მლნ ლარი
	- 5.927.000 ლარი/კმ
ვარიანტი 2	- 311,8 მლნ ლარი
	- 7.605.000 ლარი/კმ

ხიდები:	- 15 (სულ 310 მ)
წყალგამტარი მილი:	- 89 (სულ 1025 მ)
გეოტექნიკური ნაგებობები:	- 20.500 მ